



ცენტრი
საპარტვილო საარქივო
ალმინისტრაცია

საპარტვილო საარქივო
ალმინისტრაცია



ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და
აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნები

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი
საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ

ანგარიში

ს ა რ ჩ ე ვ ი


1. შესავალი	3
2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა	6
2.1. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირება	6
2.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება	7
2.3. ეროვნული უმცირესობების ენებზე საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნა	9
3. კენჭისყრის დღეს, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა მონაწილეობის უზრუნველყოფა	12
3.1. შეხვედრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველებთან რეგიონებში	12
3.2. ტრენინგი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებისთვის	12
3.3. საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები	13
4. სტატისტიკური მონაცემები	17

1. შესავალი

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის უმეტესობას აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობა წარმოადგენს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მიერ 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში 284 761-მდე ეთნიკურად აზერბაიჯანელი ცხოვრობს, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 6.5%-ია. რაც შეეხება სომხებს, ისინი ქვეყნის მთელი მოსახლეობის 5.7%-ს შეადგენენ (248 929). აზერბაიჯანელები საქართველოს რამდენიმე რეგიონში, ძირითადად კომპაქტურად არიან დასახლებულნი. 2002 წელს ქვემო ქართლის მთელი მოსახლეობის 45%-ს შეადგენდნენ, თუმცა ქვემო ქართლის რეგიონში შემავალ ოთხ რაიონში (ეკვსიდან) ისინი აბსოლუტურ ან შედარებით უმრავლესობაში იმყოფებიან: მარნეულის რაიონი — 98 245 (83.1%), დმანისის რაიონი — 18 716 (66.7%), ბოლნისის რაიონი — 49 026 (66%), გარდაბნის რაიონი — 49 993 (43.7%). ქვემო ქართლის გარდა, აზერბაიჯანელების კომპაქტური დასახლებებია: თელავის რაიონში — 8 373 (11.9%), ლაგოდეხის რაიონში — 11 392 (22.3%) და საგარეჯოს რაიონში — 18 907 (31.9%); მცხეთის რაიონში — 2 236 (3.5%) და კასპის რაიონში — 3 962 (7.6%). რაც შეეხება მეორე დიდ ეთნიკურ უმცირესობას, სომხებს, დღეისათვის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ - ახალქალაქის (57 516 სული, 94.3%), ნინოწმინდისა (32 857 სული, 96%) და წალკის რაიონებში (11 484 სული, 55%). საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ რუსი, ოსი, ბერძენი, ებრაელი, აფხაზი, ქურთი და ბოშა მოსახლეობა.¹

¹ "საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები"- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისთვის, საქართველოს მასშტაბით, 73 ოლქისა და შექმნილი 3637 საარჩევნო უბნის მიხედვით, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებით კომპაქტურად დასახლებულ 12 საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიქმნა - 340 საარჩევნო უბანი. (იხ. დიაგრამა 1)



ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აქტიურად მუშაობს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისთვის, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის სრულფასოვანი მონაწილეობის მიღების მიზნით, დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებები:

- ❖ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა;
- ❖ კენჭისყრის დღეს, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.

2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა

2.1. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად (2013 წლის 30 დეკემბრის №503/2013 განკარგულება), განისაზღვრა ახალგაზრდა ამომრჩეველთა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდა ამომრჩეველის (რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში) ინფორმირება არჩევნებში მათი აქტიური ჩართულობის მიზნით. ცესკომ აღნიშნული პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით განახორციელა. განსახორციელებელი საქმიანობა გულისხმობდა საინფორმაციო შეხვედრებისა და დისკუსიების გამართვას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებთან. ასევე, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა მიიღეს ინფორმაცია არჩევნების ისტორიის, საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო პროცედურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ. შეხვედრები გაიმართა სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების 16 საჯარო სკოლაში:

- ❖ ქ. გარდაბანი (მე-3 და სოფ. ქესალოს საჯარო სკოლა);
- ❖ ქ. მარნეული (მე-6 და სადახლოს საჯარო სკოლა);
- ❖ ქ. ბოლნისი (ნახიდურისა და ტალავერის პირველი საჯარო სკოლა);
- ❖ ქ. საგარეჯო (სოფ. იორმულალოს საჯარო სკოლა);
- ❖ ქ. ლაგოდეხი (სოფ. კაბალის პირველი საჯარო სკოლა);
- ❖ ქ. თელავი (პირველი და სოფ. ყარაჯალას საჯარო სკოლა);
- ❖ ქ. ახმეტა (დუისის საჯარო სკოლა);
- ❖ ქ. ნინოწმინდა (პირველი საჯარო სკოლა და სოფ. სათხეს საჯარო სკოლა);
- ❖ ქ. ახალციხე (მე-5 საჯარო სკოლა);
- ❖ ქ. ახალქალაქი (მე-2 და სოფ. ვაჩიანის საჯარო სკოლა).

პროექტი ასევე მოიცავდა შეხვედრებს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან. ახალციხის სასწავლო და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია არჩევნების ისტორიის, საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო პროცედურებისა და ადგილობრივი

თვითმმართველობის არჩევნების შესახებ. ასევე, სტუდენტებს შორის გაიმართა კარლ პოპერის ფორმატის² დებატები თემაზე „არჩევნების როლი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის“. დებატებში მონაწილეობა მიიღო 12-მა სტუდენტმა. სტუდენტები ახდენდნენ პოზიციის ჩამოყალიბებას, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წამოყენებას არჩევნების მნიშვნელობის შესახებ. დებატები მიმდინარეობდა 90 წუთის განმავლობაში.

2.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკვეთით, საზოგადოებრივი მაუწყებელი 2014 წლის 15 მაისიდან თარგმნიდა და ყოველდღიურად ეთერში აშუქებდა „საარჩევნო სატელევიზიო დაიჯესტს“ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომლის ქრონომეტრაჟი იყო 4-5 წუთი. ასევე, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ცესკოს 10 საიმიჯო/საინფორმაციო რგოლი, რომლებიც განთავსდა, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ასევე, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების შემდეგი ტელევიზიების ეთერში:

- ახალციხე - ტელეკომპანია „მე-9 არხი“;
- ახალქალაქი - ტელეკომპანია „ატვ 12“;
- ნინოწმინდა - ტელეკომპანია „ფარვანა“;
- ბოლნისი - ტელეკომპანია „ბოლნელი“;
- რუსთავი - „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (რუსთავი, მარნეული, გარდაბანი);
- მარნეული - ტელეკომპანია „მარნეული TV“.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, გარდა სატელევიზიო მაუწყებლებისა, ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ბეჭდვითი მედია. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი ამომრჩევლების ინფორმირების მიზნით, ცესკომ უზრუნველყო სომხურენოვან გაზეთსა „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულ ენოვან გაზეთში „გურჯისტანი“,

² „კარლ პოპერი“-ს ფორმატის დებატები ნიშნავს კამათის ფორმალურ მეთოდს, რომლის დროსაც მხარეები, განსაზღვრული წესების, სტრუქტურისა და შეზღუდვების გათვალისწინებით ეპაექრებიან ერთმანეთს. ასეთი დებატების დროს მხარეები, თავიანთი შეხედულებების წარმოდგენით ცდილობენ მესამე მხარეს (მაყურებლები, მსაჯი) დაუმტკიცონ საკუთარი პოზიციის სიძლიერე და წარმოაჩინონ მოწინააღმდეგის პოზიციის სისუსტეები.

კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ხმის მიცემის პროცედურების შესახებ, ინფორმაციის გამოქვეყნება. აღნიშნულ ინფორმაციას დაეთმო გაზეთის ერთი გვერდი, რომელიც გამოიცა სამჯერ.


ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.cesko.ge), ბანერში „ეთნიკური უმცირესობები“, განთავსდა 2014 წლის 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საარჩევნო მასალები. ასევე, ვებ-გვერდზე (www.cesko.ge), ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული მონაცემები, ხელმისაწვდომი იყო კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი ამომრჩევლებისათვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (*გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიებში რეგისტრირებული ამომრჩევლების შესაბამისად*).


ცესკოს კონტაქტ-ცენტრის საშუალებით, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება ხელმისაწვდომი იყო სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

2.3. ეროვნული უმცირესობების ენებზე საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნა

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისთვის, არჩეული/დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობამ შეადგინა - 47 148 წევრი. მათ შორის, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ კომისიის წევრთა საერთო რაოდენობამ საუბნო საარჩევნო კომისიებში შეადგინა - 2 454 წევრი.(იხ. დიაგრამა 2)


საუბნო საარჩევნო კომისიის 1522 სომეხი და 898 აზერბაიჯანელი წევრისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი სახის საარჩევნო დოკუმენტაცია:





ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ტრენინგი ჩაუტარდათ მათთვის გასაგებ ენაზე. ტრენინგის ჩატარება უზრუნველყვეს სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ტრენერებმა.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის, კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში ითარგმნა და დაიბეჭდა სხვადასხვა სახის საარჩევნო დოკუმენტაცია:



ორენოვანი, ქართულ-აზერბაიჯანული საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდა 9 ოლქის 203-მდე უბნისთვის; ქართულ-სომხური ბიულეტენები - 7 ოლქის 133-ზე მეტი უბნისთვის, ხოლო მარნეულის ოლქის ოთხი უბნისთვის დაიბეჭდა სამენოვანი, ქართულ - აზერბაიჯანულ-სომხური საარჩევნო ბიულეტენი. (იხ. დიაგრამა 3), ხოლო არჩევნების მეორე ტურისთვის დაიბეჭდა 5 050 საარჩევნო ბიულეტენი, ქართულ-აზერბაიჯანულ ენაზე.

საარჩევნო დოკუმენტაცია ითარგმნა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით, ცესკოსთან თანამშრომლობით.

3. კენჭისყრის დღეს, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა მონაწილეობის უზრუნველყოფა

3.1. შეხვედრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებთან რეგიონებში
 ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ შემდეგ რაიონებში: ქ. გარდაბანი; ქ. მარნეული (სოფ. სადახლო); ქ. ბოლნისი; ქ. ბოლნისი (სოფ. ჭაპალა, სავანეთი, ქვემო ბოლნისი); ქ. დმანისი (სოფ. ამამლო); ქ. საგარეჯო (სოფ. იორმუდანლო); ქ. ლაგოდეხი (სოფ. კაბალი); ქ. ახალციხე. აზერბაიჯანელი და სომეხი წარმომავლობის ამომრჩევლებმა მიიღეს ინფორმაცია ცესკოს მიერ 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ეროვნული უმცირესობების საარჩევნო პროცესებში ჩართვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებებისა და განხორციელებული აქტივობების, ასევე, საარჩევნო პროცედურების და არჩევნებში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ.

3.2. ტრენინგი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებისთვის

არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებისათვის, ჩატარდა ტრენინგი საარჩევნო საკითხებზე: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნები; საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები; კენჭისყრის პროცესი; საარჩევნო უბნის დახურვა კენჭისყრის შედეგების შეჯამება. ტრენინგი ჩატარდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორგანიზებით, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ტრენერების მიერ.

3.3. საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საარჩევნო პროცესებში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით, ცესკოსთან არსებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, საგრანტო კონკურსის ფარგლებში, დააფინანსა 10 არასამთავრობო ორგანიზაცია:

I. „საზოგადოებრივი დამცველი“-ს მიერ განსახორციელებელი პროექტი „ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესში ჩართულობის მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავება“, ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ძირითადი მახასიათებლების გამოვლენას ითვალისწინებს. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სოციოლოგიური კვლევის ჩატარება ქვემო ქართლის რეგიონში (წალკა, გარდაბანი, მარნეული, დმანისი, ბოლნისი) მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ მოსახლეობასთან, ასევე, კახეთის რეგიონში (საგარეჯო, თელავი, ლაგოდეხი) მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოქალაქეებთან (18 წლის და ზემოთ). კვლევის შედეგად შემუშავდება სარეკომენდაციო პაკეტი და ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო კულტურის განვითარების სტრატეგია. პროექტი დასრულდება აგვისტოს თვეში.

II. „საზოგადოებრივი დამცველი“-ს მიერ განხორციელებული - პროექტის „2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ჩართულობის და ნდობის გაზრდა“, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქვემო ქართლსა (წალკა - 25 სოფელი, გარდაბანი - 15 სოფელი, მარნეული - 35 სოფელი, ბოლნისი - 15 სოფელი, დმანისი - 13 სოფელი) და კახეთში (საგარეჯო - 7 სოფელი, ლაგოდეხი - 5 სოფელი, თელავი - სოფ. ყარაჯალა) მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა. პროექტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა/დისკუსიები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქალმა ამომრჩევლებმა. სოფლებში ჩატარდა ავტოტური, რომლის დროსაც დარიგდა ფლაერები. ასევე მოეწყო ნახევრად ღია საკონსულტაციო/საინფორმაციო კარავი, სადაც მოსახლეობას საშუალება ჰქონდა მიეღო ინფორმაცია საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

III. „ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები - ახალგაზრდა ამომრჩეველთა ქსელი“, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ახალციხე,

ბორჯომი, ნინოწმინდა) მცხოვრები ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდა (18-დან 30 წლამდე) ამომრჩევლები. პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი და არჩევნების სიმულაცია - საინფორმაციო კამპანია „ჩვენი დემოკრატიული არჩევნები“. განხორციელებული საქმიანობები გაშუქდა ადგილობრივ ტელევიზიებში: ფარვანა, ბორჯომი და ATV-12.

IV. „საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „15 ივნისს შენ აირჩევ!“, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულისა (წერეთელი, შაუმიანი, შულავერი, ყიზილაჯლო, ყულარი, დამია-გეურარხი, ახკერპი, წერაქვი, ალგეთი, კაჩაღანი, ქუთლიარი, თამარისი, ხოჯორნი, კაპანაჩხი, სადახლო, კასუმლო, ოფთერი) და გარდაბნის (ქესალო, ნაზარლო, ვახტანგისი, ჯანდარა, ლემშვენთერა, კალინინო, ახალი სამგორი, გამარჯვება, აღთაკლია, ყარათაკლია, ყარაჯალარი, კრწანისი, თელეთი, კუმისი, ნორიო, მარტყოფი, ახალი სოფელი, სართიჭალა) მუნიციპალიტეტების სოფლებში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა, მათ შორის ქალები და შშმ პირები. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საჯარო შეხვედრები ამომრჩევლებთან, შშმ პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათი საარჩევნო უფლებების შესახებ, ქალთა გააქტიურება, მომზადდა სპეციალური სამენოვანი (ქართულ-რუსულ-აზერბაიჯანული) სარეკლამო ბანერი საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის, სლოგანით - „15 ივნისი არჩევნების დღე“.

V. „სამოქალაქო განვითარების ქართულ-ბერძნული ფონდი - გეორგია ელადა“ - ს მიერ განხორციელებული პროექტის „ჩემი თვითმმართველობა“, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო) ამომრჩევლები. ადგილობრივი მედია საშუალებების გააქტიურების მიზნით, პროექტის ფარგლებში გაზეთის „თრიალეთის ექსპრესი“ საშუალებით, გამოიცა ქართულ-სომხურ ენოვანი 4 სპეციალური გამოშვების გაზეთი.

VI. „საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „მეტი ინფორმირებულობა, მეტი ჩართულობა“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქვემო ქართლისა (მარნეული, დმანისი, ბოლნისი) და კახეთის (საგარეჯო) რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანელი ქალები. პროექტის ფარგლებში მუნიციპალურ ცენტრებში (სულ 32 სოფელი) მოეწყო შეხვედრა-დისკუსიები, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები. ასევე, მოეწყო კენჭისყრის დღის სიმულაციები. კომპაქტურად

დასახლებულ ეთნიკურ სოფლებში ჩატარდა ავტოტური, რომლის დროსაც დარიგდა საარჩევნო საკითხებზე მომზადებული საინფორმაციო ფლაერები. გაიხსნა მოძრავი საკონსულტაციო-საინფორმაციო კარავი, სადაც მოსახლეობას საშუალება ჰქონდა მიეღო ინფორმაცია საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

VII. „ქალები მომავლისთვის“ მიერ განხორციელებული პროექტის „აირჩიე და მართე“, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საგარეჯოს რაიონში (დუზარაგმა, იორმულანლო, ქესალო, ზემო ლამბალო, ქვემო ლამბალო, თულარი, კაზლარი, პაღდო, წიწმატიანი) მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი ამომრჩევლები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ახალგაზრდა (19-21 წლამდე) ამომრჩევლები. პროექტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები საარჩევნო თემატიკაზე. ასევე, მოეწყო ინდივიდუალური კონსულტაციები შშმ პირებთან, მათი საარჩევნო უფლებების შესახებ. გავრცელდა ამომრჩეველთა ფლაერები ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე.

VIII. კავშირი „ვეჟინი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „კახეთის რეგიონის განსხვავებული რელიგიის და ეთნიკური წარმომავლობის ახალგაზრდა ქალების ჩართულობა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში“, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა კახეთის რეგიონში (ახმეტა, თელავი, გურჯაანი, ყვარელი, ლაგოდეხი, საგარეჯო, დედოფლისწყარო, სიღნაღი) მცხოვრები განსხვავებული რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის 18-30 წლის ახალგაზრდა ქალები. პროექტის ფარგლებში გაიმართა საარჩევნო პროცედურების შესახებ შეხვედრები სოფლებში, ავარიელებთან (თივი, სარუსო, ჩანთლისყურე), აზერბაიჯანელებთან (ყარაჯალა, კაბალი, განჯალა, უზუნთალა, დუზგრამა, პაღდო, თულარი, კაზლარი, ქეშალო, ლამბალო), ბოშებთან (ჯოეთი), ოსებთან (არგოხი, ფიჩხოვანი, ახალშენი, ყიტაანი, ზემო ბოლქვი, არეშკერონი, ქალქვა-ნამესრალი, ფონა, ქვემო ხეჩილი, წიწკანაანთსერი), უდინებთან (ზინობიანი), სომხებთან (საბათლო), ქისტებთან (დუისი, ჯოყოლო, ომალო). დაიბეჭდა და გავრცელდა 3000 ც. ოთხენოვანი (ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული) ილუსტრირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ამომრჩევლის ცნობარი.


IX. „ქალი და განვითარება“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „მოქმედება ქალთა თანასწორი მონაწილეობის გასაძლიერებლად“, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ შიდა ქართლსა (გორი, კასპი, ქარელი) და სამცხე ჯავახეთში (ასპინძა, ახალციხე, ნინოწმინდა,

ახალქალაქი) მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ქალი ამომრჩევლები ასევე, კანდიდატები, ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერები, მედია, და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი ქალები. პროექტის ფარგლებში გაიმართა სემინარები საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებით, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე. ასევე, გავრცელდა ბუკლეტები არჩევნების მნიშვნელობის, საარჩევნო პროცედურებისა და ამომრჩეველთა თანასწორი უფლებების შესახებ, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე.

X. „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „ჩვენ მივდივართ არჩევნებზე, მოდი შენც!“, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ახალგაზრდები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები. პროექტის ფარგლებში ახალციხეში, თელავსა და გორის უნივერსიტეტებში მოეწყო არჩევნების დღის იმიტაცია. ასევე, დამზადდა საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებით პოსტერები, ფლაერები და ბუკლეტები ქართულ-რუსულ-სომხურ ენაზე.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, განხორციელებული პროექტების გეოგრაფიული არეალი


- სამცხე-ჯავახეთი - (ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ბორჯომი, ახალქალაქი, ნინოწმინდა);
- ქვემო ქართლი - (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი);
- შიდა ქართლი - (ხაშური, კასპი, გორი, ქარელი);
- კახეთი - (ახმეტა, თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღი, დედოფლისწყარო, გურჯაანი).



4. სტატისტიკური მონაცემები


ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებით კომპაქტურად დასახლებულ 12 საოლქო საარჩევნო კომისიაში შექმნილი - 340 საარჩევნო უბანი.

დიაგრამა 1.



ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი არჩეული/დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა - 2 454 წევრი.

დიაგრამა 2.




შენიშვნა: საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის არჩეული/დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობამ შეადგინა - 47 809 წევრი. მათ შორის, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ კომისიის წევრთა საერთო რაოდენობამ საუბნო საარჩევნო კომისიებში შეადგინა - 2541 წევრი. ხოლო, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის ეროვნული უმცირესობების

წარმომადგენელი კომისიის წევრთა რაოდენობამ საუბნო საარჩევნო კომისიებში შეადგინა - კომისიის 2774 წევრი.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩეველთათვის დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა

სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, პროპორციული და მაჟორიტარული წესით ჩასატარებელი არჩევნებისთვის და მუნიციპალიტეტში გამგებლების არჩევის მიზნით დაიბეჭდა საარჩევნო ბიულეტენები შემდეგი რაოდენობით:


დიაგრამა 3.




ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებით კომპაქტურად დასახლებულ 12 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი 628 საუბნო საარჩევნო კომისიის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო - 218 810 ამომრჩეველმა.

რეგისტრირებული და არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა გენდერული ბალანსი

დიაგრამა 4.




დიაგრამა 5.




არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა გენდერული ბალანსი, პროცენტული მაჩვენებლით

დიაგრამა 6.



ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, აზერბაიჯანელი ამომრჩევლების აქტივობა სხვადასხვა არჩევნების დროს



ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სომეხი ამომრჩევლების აქტივობა სხვადასხვა არჩევნების დროს

